სამშაბათი, 3 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი № 142

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] სთვის საჭიროა [illegible] მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება [illegible] გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
განაზა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—77)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—126)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—4)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარე-დან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინ. სნეულ. დროებით წავიდა ქალაქიდან.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

ასპისოვი—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

უბლამქაროვი—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

გორბალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ინაევი. ქალისა, დროებით წავიდა.

ეუთრამე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

ბოყოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

მონზე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი იოზელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

რიდელი—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

პივარსკი
ჩუდნოვსკი } კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—5)

ქუთაისში
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—33)

ლამბაშიძის
სანატორიუმი
მტკარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—25)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.

მიხეილ ბებუთოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

ა. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ა. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ა. გ. ბეგლარსოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

მ. პ. კიშინცი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

პ. ა. შეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

ა. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—84)

დასის მოგზაურობა
ქუთაისის მსახიობთა ჯგუფი
მელვა დადიანის
მეთაურობით გამართავს წარმოდგენებს.
ალაგებში: აბასთუმანი, ახალციხე, ბაკურიანი, ბორჯომი, სურამი.
პიესები: „კაი გრაკხ", „და-ძმა", „ებრაელები". (3—უ.—3)

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების
გამომცემი კომისია
მიმართავს მოწოდებით ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე სახელმძღვანელო აქვს შედგენილი, მიაწოდონ კომისიას ეს სახელმძღვანელოები და აგრეთვე შეატყობინონ თავიანთი პირობები.
კომისიის თავმჯდომარე ა. მდივანი.
ადრესი: სათავად-აზნაურო გიმნაზია. (5—6.—5)

## ტფილისი, 3 ივლისი

3 ივნისის კანონის გამოცემის მეორე დღესვე რეაქციონური პრესა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და პანაშვიდს იხდიდა „დამარცხებულ" მტრის გვამზე, მაგრამ გავიდა ერთი თვე და იგივე რეაქცია ხმა მაღლა გაიძახის 3 ივნისის აქტი მხოლოდ ზედაპირული საშუალებაა რევოლიუციის წინააღმდეგ, რომ „ინოროდცებსა" და „ტუზემცებს" კიდევ ბევრი უფლება დარჩათ და საჭიროა მათი შეკვეცაო. „ნოვოე ვრემია" პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ უმნიშვნელო ქალაქ ლოძს ცალკე წარმომადგენელი ეყოლება, ჭეშმარიტ რუსულ ქალაქებს პსკოვს, ნოვგოროდს და ყაზანს კი წარმომადგენელი არ ეყოლებათო. რუსები ვარშავაში, კოვნოსი და ვილნოს გუბერნიებში ოთხ წარმომადგენელს ირჩევენ, მაგრამ პოლონეთის დანარჩენმა გუბერნიებმა რაღა დააშავეს, იქაურ ერთი მუჭა რუსებსაც ასეთივე უფლება უნდა მიეცეთო. გაზეთი აქვე ურჩევს მთავრობას, „სანამ დრო გაქვს, ჩქარა გაასწორე შეცდომა", თორემ მერე გვიანღა იქნებაო. რეაქციას ბანს აძლევს ბიუროკრატიაც. ამ დღეებში ერთ მინისტრს, როგორც იმავე „ნოვ. ვრ." ვტყობილობთ, ხმა მაღლა განუცხადებია: „პოლონეთი დაიღუპა და პოლონელებიც უნდა გამოესალმონ თავიანთ პოლიტიკურ ოცნებასაო". ამის გამო პოლონური „გაზეტა პოლსკა" აცხადებს: თქვენ თვითონ უნდა გამოესალმოთ იმ ფუჭ ოცნებას, ვითომ პოლონეთი იღუპება. პოლონეთი ცოცხალია, თავის ინდივიდუალურ ცხოვრებიდან არაფერიც არ დაუკარგავს და არც დაჰკარგავსო.

პოლონეთი მართლა ცოცხალია და მისი სიცოცხლე ნათლად დამტკიცდა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც დამტკიცდა სხვების უსიცოცხლობა და დაქანცულობა. ჩვენ უკვე ვწერდით, თუ როგორ დაუხვდა 3 ივნისის აქტს პოლონეთი და რა მძლავრი პროტესტი განაცხადა მან 3 ივნისის აქტის გამო, მაგრამ, როგორც ეტყობა, პროტესტი ცარიელა სიტყვად არა რჩება და თანდათან რეალურ ფორმას ღებულობს. რუსულ გაზეთებს სწერენ, რომ პოლონეთში რაღაც ახალი მოძრაობა იწყება. ეს მოძრაობა მოხუცებულებს ძალიან აგონებს 1863 წლის მოძრაობის დასაწყისს. მთელ პოლონეთს მოედო აუარებელი პროცესიები, რომელსაც ათასობით დასდევს ხალხი. თან დააქვთ ვითომდა საეკლესიო დროშები, მაგრამ ეს დროშები უფრო სამხედრო დროშებსა ჰგავს, ვიდრე საეკლესიოს, საიდანღაც აუარებელი მისიონერი მოვიდა; მისიონერები ეკლესიებსა, გზებსა და მოედნებზე სიტყვებს ამბობენ და ხალხს რევოლიუციონურ იდეიებს უქადაგებენ. ხშირად ისმის პოლონეთის ეროვნულ გმირის კოსტიუშკოსი და სხვა გენერლების სახელი, მათ საფლავებთან აუარებელი ხალხი იკრიბება. ზოგჯერ შორიდან მოდის მთელი პროცესია, პანაშვიდს იხდის მათ საფლავებზე და იშლება. ამ დღეებში რუსეთის პოლონეთიდან კრაკოვში მუსიკითა და დიდის ამბით ჩასულა 2300 მუშა. სადგურზე აუარებელი ხალხი დაჰხვედრია. მერე ყველანი სიმღერითა და მუსიკით მიცკევიჩის ძეგლთან წასულან, დაუვლიათ მთელი ქალაქი, საღამოზე დიდის ამბითა და აღფრთოვანებით მოუსმენიათ ისტორიული დრამა „კოსტიუშკო რასლავიცთან" და უკან დაბრუნებულან. თუმცა ამ მოძრაობას ჯერ-ჯერობით სამღვდელოება ხელ-მძღვანელობს, მაგრამ მისი ნამდვილი ხასიათი ყველასათვის ცხადია: ეს არის პოლიტიკური ეროვნული მოძრაობა და მედგარი პროტესტი წინააღმდეგ დღევანდელ პოლიტიკისა პოლონეთში. პოლონეთი საკმაოდ გამოიწვრთნა ბრძოლაში და ეხლანდელ მოძრაობაშიაც შესაფერად გამოიყენა ისტორიის გაკვეთილები.

დიახ, ასეთ ცოცხალს, კულტურითა და განათლებით შეიარაღებულსა და დაუშრეტელ ენერგიით სავსე ერს ამაყად შეუძლიან სთქვას: პოლონეთი არ მომკვდარა და არც მოკვდება!

## პორტ-არტურის საქმე
(სააგენტოს დეპეშა)

სამსახურიდან გასულ გენ. ლეიტ. სტესელს, მისი შტაბის უფროსს გენ მაიორ რეისს, პორტ-არტურის უფროსად ნამყოფს გენ. ლეიტ. სმირნოვს და ხმელეთის სიმაგრეთა უფროსად ნამყოფს გენ. ლეიტ. ფოკს ჩააბარეს საბრალმდებლო აქტი პორტ-არტურის ციხის იაპონელებისათვის გადაცემის გამო. უმაღლესი სამხედრო სასამართლო გენ. სტესელს ბრალსა სდებს, რომ

1) მანჯურიის ჯარის უფროსის ბრძანებისამებრ არ გადასცა ციხე კომენდანტ სმირნოვს და არ გამოვიდა პორტ-არტურიდან, არამედ დარჩა იქ და ციხის უფროსობა მიითვისა;

2) დაარღვია ბრძანება შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისა 1904 წ. 14 აპრილის თარიღით, ჩაერია პორტ-არტურის უფროსის საქმეში, დაარღვია მისი უფლებანი და ამით დასცა რწმენა მისდამი, მისი ავტორიტეტი და შეასუსტა ციხის საერთო ძალა. სხვისი უფლება მან ისაკუთრა შემდეგ, იმით დაარღვია, რომ მიუხედავად კომენდანტის განკარგულებისა ნება მისცა ციხიდან სურსათ-საქონლის გატანისა ჟანდარმები დიაოტეშანზე გადაიყვანა, აკრძალა გამოცემა გაზეთ „ნოვი კრაისა", დააპატიმრა მისი თანამშრომელი ნოჟინი და შეაჩერა მეორე და მესამე რიგის სიმაგრეთა აშენება;

3) თავის დროზე არ იზრუნა და პორტ-არტურში საკმაო სურსათ-სანოვაგე არ მოაგროვა;

4) ალყის შემორტყმის შემდეგ მას მისდიოდა მწვავე და დამცინავი კილოთი დაწერილი შენიშვნები გენ. ფოკისა, რომელნიც ამცირებდნენ უფროსის ავტორიტეტს, არღვევდნენ დისციპლინას და გარნიზონის სულიერ განწყობილებას, მაგრამ მან არ აკრძალა მათი გამოცემა და ციხეში გავრცელება.

5) პირადი ინტერესებით სტესელმა გაუგზავნა მანჯურიის ჯარების უფროსსა და ნამესტნიკს ისეთი მოხსენება ცინ ჯოუსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, სადაც უკუღმართად იყო აწერილი ეს ბრძოლა და ნახსენები იყო, ვითომ თვითონ სტესელი ენერგიულად ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ბრძოლის დროს გენ. სტესელი პორტ-არტურში იყო და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია;

6) იმავე პირადი ინტერესებით მან მოხსენება წარუდგინა ჯარების უფროსს და იტყობინებოდა, რომ ფოკის რაზმი მწყობრად იწევს მგლების გორებისკენ, ნამდვილად კი ჯარმა არეულ-დარეულად დაიწია უკან.

7) პირადი ინტერესებით გატაცებულმა სტესელმა, რომელმაც თავისი თავი ისე გამოიყვანა, ვითომ ის პირადად დიდ მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა დროს მომხდარ ბრძოლაში, ჯარების უფროსს 1904 წ. 1 ივნისს მოხსენება წარუდგინა შესახებ თავის მოქმედებისა პორტ-არტურში და იუწყებოდა, ვითომ ის ყოველ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სტესელი 26 იანვრიდან 1 ივნისამდე პორტ არტურის ჯარს იაპონელებთან არც ერთი შეტაკება არ მოსვლია, გარდა ცინ-ჯოუს ბრძოლისა, რომელშიაც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია;

8) განზრახ ციხის ჩაბარების გასამართლებლად მან 1904 წ. 16 დეკემბერს დეპეშით შეატყობინა ხელმწიფეს, რომ მას შემდეგ, რაც იაპონელებმა ხელთ იგდეს ფორტი № 3, მთელი ჩრდილო აღმოსავლეთი ფრონტიც უეჭველად მათ ხელში უნდა გადავიდესო, ციხე მხოლოდ რამდენიმე დღეს და გასძლებსო და ტყვია-წამალიც გამოგველიაო. ეს მოხსენება სიმართლეს იყო მოკლებული, რადგან სამხედრო კრებამ დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა ციხის დაცვა უკიდურესობამდე და გენ. ბელიმ და ნიკიტინმაც განაცხადეს ამ კრებაზე, რომ ტყვია-წამალი საკმარისია;

9) სულ ტყვილ-უბრალოდ და უსამართლოდ დააჯილდოვებინა სისხლის ჯვარით გენ. ფოკი ცინ-ჯოუსთან წაგებულ ომისთვის, სადაც ფოკი სრულიად დაიბნა და აირ-დაირია; დააჯილდოვებინა იმავე ჯვრით გენ. რეისი, რომელმაც განაცხადა, რომ ისეთი საგმირო არაფერი ჩამიდენია, რომ ამ ჯილდოს ღირსი ვყოფილიყავიო;

10) სტესელმა განიზრახა ციხის ჩაბარება მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კრებამ დიდის უმრავლესობით გადასწყვიტა ციხის დაცვა, რაიც სავსებით შესაძლებელი იყო; მან ბოლომდის არ სცადა დაეცვა ფორტი „პატარა არწივის ბუდე", დაეთანხმა გენ. ფოკის წინადადებას და უბრძოლველად დაუთმო იაპონელებს კუროპატკინის ლიუნეტი და „არწივის ბუდე", რის გამო ძლიერ შესუსტა ციხე; მეორე დღეს მან დაავალა გენ. რეისს იაპონელებთან მოლაპარაკების დაწყება შესახებ ციხის ჩაბარებისა და რეისმაც ხელი მოაწერა ციხის დანებების ხელშეკრულობას, სადაც ისეთი პირობები იყო ჩამოთვლილი, რომელნიც შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ რუსეთის პატიოსნებასა და სახელს. ასეთ საქმის ჩადენით სტესელმა არ შეასრულა მხედრის მოვალეობა და ფიცი და, როცა ციხე იაპონელებს ჩააბარა, დატყვევებულ ჯარს უბედურება არ გაუზიარა და თან არ გაჰყვა.

გენ. რეისს ბრალი ედება „იმაში, რომ მან იცოდა სტესელის განზრახვა ციხის დათმობის შესახებ იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო ბრძოლის გაგრძელება, და ხელი შეუწყო ამ საქმის განხორციელებას.

გენ. ფოკს ბრალი ედება იმაში, რომ: 1) ნაბრძანები ჰქონდა უკიდურესობამდე დაეცვა ცინ ჯოუს სიმაღლენი, მან კი ნაადრევი დეპეშა გაუგზავნა სტესელს და შეატყობინა, რომ ცუდ დღეში ვართ და ტყვია წამალი გამოგველიაო; სტესელისგან ბრძანება მიიღო, ბინდისას უკან დაიწიეთო, მან კი ბინდს აღარ მოუცადა, დღისით დაიწყო უკან დახევა და ამის გამო დიდი ზარალი მიაყენა ჯარს და იაპონელებს ადვილად ჩაუგდო ხელში წინადვე გამაგრებული პოზიციები;

2) 1904 წ. 8 აგვისტოს ბრძოლის დროს მიიღო ბრძანება, რომ მოწინავე პოზიციებზე ორი ბატალიონი გაეგზავნა, მან ეს ბრძანება არ შეასრულა და კამათი გაება უფროსთან; 3) თუმცა გენ. ფოკი 9 აგვისტოდან 3 დეკემბრამდე არავითარ მოვალეობას არ ასრულებდა მაგრამ მაინც პოზიციებზე დადიოდა და საქმეში ერეოდა ვითომ იმ აზრით, რომ საქმისთვის ხელი შეეწყო, ნამდვილად კი სულ მოკლებას იჩენდა, სახელს ეძებდა, განკებ მამაცობდა და იმავე დროს ისეთ შენიშვნებს იგზავნიდა, რომელნიც ჯარს იმედს უკარგავდნენ და სულიერ სიმტკიცეს ურყევდნენ; 4) ფოკი ხმელეთის სიმაგრეთა უფროსი იყო, იცოდა, რომ გენ. სტესელი ციხის ჩაბარებას აპირობდა და თვითონაც ხელი პორტ არტურს შეუწყო ამ აზრის განხორციელებას.

სმირნოვს იმაში ედება ბრალი, რომ 1) მან იცოდა განზრახვა ფოკისა და სტესელისა, რომელთაც გადასწყვიტეს ციხე ისეთ დღეში ჩაეგდოთ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ჩაბარების გამართლება, მაგრამ არ ისარგებლა თავის უფლებით, ფოკი სამსახურიდან არ დაითხოვა და საზოგადოდ არაფერი იღონა ციხის ჩაბარების წინააღმდეგ; 2) როცა მან გაიგო, რომ სტესელმა მოლაპარაკება დაიწყო გენ. ნოგისთან პორტ-არტურის ჩაბარების შესახებ, არ მოიწვია სამხედრო კრება, არ აიძულა სტესელი, რომ მას შეესრულებინა ბე-62 მუხლი ციხის დებულებისა და არ შეასრულა დადგენილება სამხედრო კრებისა, რომელმაც გადასწყვიტა ციხის დაცვა უკიდურესობამდე.

## ახალი ამბავი

✦ **ფულის გატაცება.** ბათუმში, სააგენტოს დეპეშის სიტყვით, გაუძარცვავთ ქალაქის გამგეობის კასირი. წაუღიათ 3000 მანეთი.

✦ **ხმოსანთა სია.** ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ვ. ჩერქეზიშვილმა გუბერნატორს გაუგზავნა ქალაქის პირველ და მეორე საარჩევნო უბნებში არჩეულ ხმოსანთა სია.

✦ **მუშის დაჭრა.** კვირას, 1 ივლისს, ნაძალადევში რკინის გზის მახლობლად, სამჯერ ესროლეს და დასჭრეს რკინის გზის საქონლის სადგურის მუშა მახარაძე. დაიჭირეს ოთხი კაცი.

✦ **განთავისუფლება.** ამ დღეებში მეტეხის ციხიდან განათავისუფლეს 18 ივნისს დაპატიმრებული სომხურ გაზეთის „ყაირი"-ს თანამშრომელი ხაჩიკიანცი.

✦ **სამზადისი საარჩევნოდ.** 2 ივლისიდან ტფილ. ქალაქის გამგეობა შეუდგება მესამე სახ. სათათბიროს საარჩევნო სიების შედგენას. სიების შესადგენი განყოფილება ღია იქნება დილის $11\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე და საღამოს $7\frac{1}{2}$—9 საათამდე. ამ დროის განმავლობაში შეუძ-

ლიანთ მივიდნენ და ჩაეწერნენ და თან დოკუმენტები წარადგინონ: 1. ვინც შეცდომით გამოტოვებულ იქნა მე-2 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს; 2. ვინც შეიძინა უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა იმ სიების შედგენის შემდეგ; 3 ვისაც ცალკე სახლი (ბინა) უჭირავს, მაგრამ გადასახადს არ იხდის. 4. ვინც პენსიას იღებს სახელმწიფო, საეროზო, საქალაქო დაწესებულებიდან ან რკინის გზიდან; 5. ვისაც უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში მამაპაპეული მამულის, ან დედის, ან ცოლის მამულის ქონებით, თუ უკანასკნელთ სურთ ისარგებლონ საარჩევნო უფლებით.

✦ **განმარტება.** ქალაქის იურისტკონსულტმა განმარტა, რომ ვინც ქალაქის გამგეობაში მსახურებს ან ქალაქის გამგეობის, ან ქალაქის თავის დანიშვნით, მას უფლება არა აქვს ქალაქის საბჭოს წევრადაც იყოსო. როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობაში მსახურთაგან სამი კაცი აირჩიეს გ. ნ. სტეფანოვი, ი. ლისიციანი და ლ. ა. მამულოვი.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წერილობით სთხოვა, დროგამოშვებით მიაწოდოს ხოლმე ცნობა ბამბის მოსავლის შესახებ. მთავრობას სურვილი აქვს მეურნეობის ამ დარგის გავრცელებას და მოწესრიგებას ხელი შეუწყოს.

✦ 29 ივნისს ს. კასპში ღამე, ვიღაცეებს ცეცხლი წაუკიდებიათ მ. კნ. ამილახვარის ძნისთვის (ერთი დღისაზე მომკილი).

✦ 1 ივლისს გამოვიდა ტირაჟში ქალაქის მეორე სესხის ობლიგაცია ათასი მანეთიანი 27 ცალი და 100 მანეთიანი 15 ცალი, სულ 28,500 მანეთისა.

✦ წრეულს ტფილ. საბაღოსნო სკოლაში სწავლა დაამთავრა 17 კაცმა. ამათში ქართველი ექვსია.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობას პიატიგორსკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ დაიმხო მოსვლია ტფ. ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილების საქმის მწარმოებელს ლ. ა. ტერ-მინასოვს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკმა მიიღო ცნობა ნამესტნიკის კანცელარიიდან, რომ ბანკის რწმუნებულთა კრების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამგეობის თავმჯდომარის არჩევის ნება თვით კრებასა ჰქონდეს, უმაღლეს მთავრობას არ შეუწყნარებია.

✦ 28 ივნისს ქუთაისის საურთი-ერთო დამზღვევ საზოგადოების მოსამსახურეს ტფილისის ქუჩაზე გადაეღობა რამდენიმე ახალ-გაზდა და მუქარით ფული მოსთხოვა. შეშინებულმა მოხელემ რაც-კი ჰქონდა (200 მანეთამდე) მისცა. უცნობნი მიიმალნენ.

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

26 ივნისს, როგორც იყო, დაიწყო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ამ დღეს კრებას, სხვათა შორის, ჭიათურის ბოქაული სთხოვდა, რომ სტრაჟნიკებს ჯამაგირი მოემატოთ: ამბობდა იმასაც, რომ სტრაჟნიკების რიცხვი მცირეა და საქმეს ვერ ასდიანო. როდესაც ზდანოვიჩი შეეკითხა, რით ასაბუთებთ სტრაჟნიკების რიცხვის გადიდებასაო, კეიდიამ სთქვა, მაგას ეხლა ვერ აგიხსნითო. ბოქაულმა შემდეგიც განაცხადა, გვისაყვედურებენ, ვითომ სტრაჟნიკები ხელს უწყობდნენ მადნიან ადგილების გატაცებასაო. სტრაჟნიკებს იმდენი სხვა საქმე აქვთ, რომ ამაებისთვის სადა სცალიანთო. რა თქმა უნდა, მთელი კრება წინააღმდეგი გახდა პოლიციისთვის ფულის მომატებისა.

შემდეგ შეუდგნენ საფინანსო კომისიის წინადადებების განხილვას—მდივნის თანამდებობის გაუქმებისა და სხვათა შესახებ. განიხილეს რამდენიმე საგანი გააუქმეს, მაგალითად, მდივნის თანამდებობა. საფინანსო კომისიამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მას სურდა ეკონომია მოსამსახურეთა ჯამაგირზე გაეკეთებინა. ყველანი წინააღმდეგნი გახდნენ. მაშინ საფინანსო კომისიამ განაცხადა, რომ უარს ამბობს თავის მოვალეობაზე, ამასთან კრებას წინადადება მისცა, განეხილა საბჭოს მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ შეიწყნარა ეს აზრი.

კრებამ პოლიციას მეტ-მეტ ხარჯზე უარი უთხრა და მიიღო მხოლოდ სავალდებულო ხარჯი 13,380 მანეთი. კრების მდივანს 500 მანეთის ნაცვლად დაუნიშნა 750 მ. კრების ხარჯად გადაიდო 540 მ. მიღებულ იქნა ხარჯთ-აღრიცხვის ის ნაწილი, რომელიც კანტორის მოსამსახურეთა ჯამაგირს შეეხება. კანტორის ხარჯად ნავარაუდევია სულ 26,360 მ. სასტატისტიკო ბიუროსთვის გადაიდო 5 300 მან.; მოსამსახურეთა მისვლა-მოსვლაზე 2,00 მან.; მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად გადადებული 1000 მან. მიემატა იმ 2000 მანეთს, რომელიც გადაიდო მოსამსახურეთა დასახმარებლად ავადმყოფობის ან სხვა უბედურობის დროს. კამათი გამოიწვია სატეხნიკო განყოფილების ხარჯმა. ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი ხარჯები: დამგეგმავი ბიუროსი 6150 მ., ცენტრალური სადგურისა 15,949 მ., გზების შეკეთებისა 7,700 მ., ხიდების შეკეთებისა 3,500 მ., წყლის საყვანის შეკეთებისა 1,860 მ., ტელეფონისა 720 მ. და აბანოსი 2,954 მ.

27 ივნისს კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი ხარჯები: საავადმყოფოს მსახურთა ჯამაგირები 17,380 მ., საავადმყოფოს შენახვა 20,730 მ., სასანიტარო განყოფილების შენახვა 3,190 მ., ჭიათურისა და ჭიქიურის განათება 300 მ., 6-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის ხარჯი. 12.662 მან., სამკითხველოების შესანახად—1.190 მ., თეატრი 1,700 მან. სახალხო ლექციების მოწყობა 1,500 მ.; ჭიათურის კანტორის მოსამსახურეთა შვილების სასტიპენდიოდ გადაიდო 1500 მ.

შემდეგ ლაპარაკი დაიწყო სტიპენდიებზე, მაგრამ რადგან ამ დღეს ვერ გადასწყდა, მეორე დღისთვის გადაიდო

ოფიციალურ კრების დახურვის შემდეგ ზდანოვიჩმა კერძო თათბირზე მოიწვია მრეწველნი და აცნობა შემდეგი. უადგილოდ დარჩენილი მუშები ითხოვენ, დაადასტუროს კრებამ მათი თხოვნა რკინის გზის უფროსის მიმართ, ხოლო თხოვნის მი აარსი ახსნა მუშათა წარმომადგენელმა: უადგილოდ დარჩენილთა მდგომარეობა უკიდურესია; უმრავლესობა შიმშილს განიცდის, სთქვა მან; რათა მათ საქმე გაიჩინონ, გადასწყვიტეს კვირაობით მუშაობა და რომ მუშაობა არ შეფერხდეს, ისინი შეთანხმდნენ ფოთისა და შორაპნის მუშებთან, რომ იქაც იმუშაონ კვირაობით. ამისთვის მუშათა თხოვნის შესაწყნარებლად, საჭიროა დაადასტუროთ იგი ან ტელეგრამის ან დეპუტაციის გაგზავნითა. ამასთან მადნის დატვირთვა არსებულ წესით კი არ იქნება, არამედ ყოველ პლატფორმას, დიდი იქნება იგი თუ პატარა, მიეცემა თანასწორი უფლება ვაგონებზეთ. კრებამ მცირე კამათის შემდეგ შეიწყნარა შუამდგომლობა და რკინის უფროსს შესაფერი დეპეშა გაუგზავნა.

28 ივნისს განაგრძეს ბაასი სტიპენდიების შესახებ. გამოირკვა, რომ უსახსრობის გამო შეუძლებელია დაკმაყოფილდეს კრების უმრავლესობის სურვილი, რომ სტიპენდიებისათვის 30,400 მან. მაგივრად 40.900 მანეთი გადაიდოს, ამიტომ კრებამ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 30,000 მანეთი და ამასთან საბჭოს დაავალა სტიპენდიებისათვის ამას გარდა დახარჯოს 10.000 მანეთი იმ დღიდან, როდესაც განხორციელდება გატანილ მადანზე დაწესებული ვადასახადის გადიდება.

კრებამ დაადგინა: დახმარება აღმოუჩინდეს პერევისის, დიდი რგანის და ითხვის სასოფლო სკოლებს, თითოს ათ-ათი თუმნით, ხოლო თუ მუქრუისა და მღვიმევის მცხოვრებლებმა იკისრეს სასწავლებლის შენობის ასაგებად მასალის მოტანა და ადგილის მიცემა, საბჭომ თავის ხარჯით ააგოს სკოლები და თავის საშუალებით გაუძღვეს ხარჯს იმ პირობით, რომ სასწავლებლები საბჭოს განკარგულებაში იყოს, თუ ზემოხსენებული პირობები მიიღეს სოფლებმა, კრებამ გადასწყვიტა მომავალ ენკენისთვიდან დაქირავებულ შენობაში მოაწყოს სკოლები. ამისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 4 თვის ხარჯად 1140 მანეთი.

ჭიათურის ქალთა სასწავლებლისათვის კრებამ გადასდო 2000 მანეთ იმ პირობით, რომ 2/3 ამ ფულისა მოხმარდეს მოსწავლეთა სწავლის გადასახადს და 1/3 უნდა გადაეცეს სკოლის გამგეს.

ცალკე კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ იაფი სასადილოები დაარსდეს ზედარგანსა, მუქრუისა და მღვიმევში, კრებამ შეუძლებლად სცნო, რადგან იგი ითხოვდა, გარდა დიდის ხარჯის ერთ დროულსა და მუდმივს 9000 მანეთს, შენობების გადაკეთებასაც, რასაც, ინჟენერის ცნობით უნდა მონდომოდა, არა ნაკლებ 8000 მანეთისა. ამის გამო კრებამ საჭიროდ სცნო ორ არსებულ სასადილოს დატოვება, რისთვისაც გადასდო 5000 მანეთი და ვალების დასაკმაყოფილებლად—4000 მანეთი; სასადილოების გამგეობა კრების გადაწყვეტილებით გადავიდა საბჭოს ხელში.

დაზარალებულ მუშათა დასაკმაყოფილებლად გადაიდო 30.000 მანეთი. ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი ხარჯები: სასასწორების საკონტროლო მსახურთა დასაკმაყოფილებლად—1320 მან., მოსამსახურეთა საპენსიო კასისა 8 500 მ., საბჭოს შენობათა შეკეთებისათვის 600 მ., მოსამსახურეთა ბინების გათბობისათვის 600 მ., საბჭოს შენობათა დაზღვევისათვის 622 მ.

ჯერ მიდგა კერძო პირთა და სხვა და სხვა დაწესებულებათა დასმარებაზე. თანახმად მერვე კრების გადაწყვეტილებისა, საბჭოს მიღებული თხოვნები დახმარების შესახებ განუხილავს და 16 თხოვნიდან 6 მოახსენა კრებას. დანარჩენი თხოვნები, განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ, ღირსნი არიან დაკმაყოფილებისა, მაგრამ უსახსრობამ გვაიძულა მიღებულ თხოვნათაგან ისეთები აგვერჩია, რომელთ ც უფრო საზოგადო მნიშვნელობა აქვთ. კერძო პირთა თხოვნები, თუმცა მათ შორისაც არიან ყურადღებისა და დახმარების ღირსნი, სრულებით არ მეხსენდება კრებასაო. შემწეობა მიეცა: ხონის გიმნაზიას წრეულ 2,000 მანეთი და მომავალ წლის განმავლობაში 3,000 მანეთი; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 2,000 მანეთი, სპარსელ ქართველების სკოლის სასარგებლოდ 1500 მანეთი; სახელმძღვანელოთა გამოსაცემად ქართულ ენაზე 1000 მანეთი, გაბრიელის სახელობაზე დაარსებულ ბიბლიოთეკას — 200, ზ. ჭიჭინაძეს—3.0 მ. თანახმად ი. კაკაბაძეს წინადადებისა დამშეულთა სასარგებლოდ 1500 მანეთი და თანახმად დაკით ბაქრაძის თხოვნისა სამეურნეო სკოლას საავადმყოფოს მოსაწყობად და წყლის გამოსაყვანად—1000 მან. სულ 12,000 მანეთი.

ოფიციალური კრების გათავების შემდეგ, გ. ზდანოვიჩმა აუწყა მრეწველებს: რკინის გზის მიმოსვლის რევიზორს მოსვლია ცნობა, რომ რკინის გზის გამგეობა თანახმაა იმისა, რომ კვირაობით ვაგონები დაატვირთოს მადნით არსებულ წესის დაცვით. ამასთან ბ-ნ აფანასიევს უთქვამს, შესაძლებელია შეიწყნაროს რკინის გზის უფროსმა თხოვნა, რომ კვირაობით, არსებული წესის მაგივრად, თითო პლატფორმაზე ორი ვაგონი დაიტვირთოს, იმ პირობით, თუ ფოთის და შორაპნის მუშები დათანხმდებიან კვირაობით მუშაობასაო. უმუშავართა წარმომადგენლის გამწარდამშვილის ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ თუმცა ფოთის მუშებთან ოფიციალური შეთანხმება მოხდება, რომ უმუშავარ მუშებმა კვირაობით იმუშაონ, მაგრამ არსებითად ფოთის მუდმივი მუშები უკმაყოფილონი არიან ასეთ გადაწყვეტილობით და ხელს უშლიან საქმის განხორციელებას. ამის გამო წარსულ კვირას ვერ მოხერხდა მუშაობაო, სთქვა ბ-მა გამწარდამშვილმა. ეხლა საჭიროა მრეწველთა დახმარება, რომ ეს საქმე მოწესრიგდესო. მრეწველთა უმრავლესობამ თანხმობა გამოაცხადა დახმარებაზე, მაგრამ ამასთან ის აზრიც დაასკვნა, რომ საქმის მოწესრიგება მარტო მუშებს შეუძლიანთო.

მკითხველი მიხვდება, რომ საქმის შემაფერხებელი ის „არტელია", რომელმაც ფოთში შავი ქვის გადატვირთვა მონოპოლიად გაიხადა და რომელიც ყოველ დღესა ხმარობს, სხვა მუშები, რაც უნდა უჭირდეთ მათ, არ ჩარიოს საქმეში. თუმცა, როგორც გამწარდამშვილმა განმარტა, ფოთის „არტელს" ოფიციალური თანხმობა გამოუცხადებია კვირაობით მუშაობაზე, მაგრამ ფაქტიურად ხელს უშლის თურმე საქმეს.

## პროვინციის ცხოვრება

**ყვირილა.** 28 ივნისს დ. ყვირილიდან შორაპანში ავიდა ბოქაული სტრაჟნიკებით, დაბინავდა სადგურის ჟანდარმთა განყოფილებაში და იქ შემდეგი პირები დაიბარეს: მათიაშვილი, მარგველაშვილი და გორგოძე. პირველი ორი მემანქანეს თანაშემწეა, ხოლო უკანასკნელი დეპოს მუშა. ესენი სამივე დააპატიმრა და დ. ყვირილაში წამოიყვანა. ამათ გარდა სადგურზე დააპატიმრეს ვიღაც უცნობი, ცალფეხა კაცი.

29 ივნისს, გუბერნატორის განკარგულებით, დააპატიმრეს ა. საყვარელიძე, ს. ჟღენტი და გ. ავალიანი. ესენი დააპატიმრეს ჟანდარმთა უფროსის განკარგულებით,

დაპატიმრება სოფლად გახშირდა, დღე არ გავა ისე, რომ საპატიმროში რამდენიმე კაცი არ ჩასვან. ზოგს შემდეგ ანთავისუფლებენ, ზოგს-კი არა. **მეთვალყურე.**

**ფრონის ხეობა.** ზოგიერთი იმათგანი, ვინც ერთ დროს წითელ-რაზმში იდებდნენ მონაწილეობას და ვითომც სარევოლუციო აზრებით იყვნენ გატაცებულნი, დღეს პირდაპირ ყაჩაღობის გზას დასდგომიან და მშვიდობიან მცხოვრებლებს იგდებენ. 7 ივნისს ღამე სოფ. მეღრისში დაეცნენ თასო იკაშვილს. ფულად 326 მანეთი წაართვეს. ეს არ აკმარეს, გაიყვანეს ეკლესიაზედ და ყელი გამოსჭრეს. ამავე სოფ. შავდაში ამავე ღამეს ალბორიშვილი მოჰკლეს. მეორე დღეს კაზაკები და მამასახლისი დაედევნენ, შემთხვევით დაიჭირეს ალბორიშვილი, დუგანის შვილი, უპოვნეს ბერდანა და რევოლვერი. სადამხედ მამასახლისმა და კაზაკებმა წამოიყვანეს ეს ტუსაღი და კნოდესა და ავდევს შუა ორის ტყვიით მოჰკლეს. გაქცევა დააბრალეს.

9 ივნისს სამინელი თავსხმა იყო ოქონაში გვაიარე. ზედ შუა გზაზედ მიცვალებული დამხვდა, ახალგაზრდა, ტანით პატარა, მარცხნივ ძუძუში ტყვია ნასროლი გულ-აღმა ეგდო. ზევიდან კოკისპირული წვიმა დასდიოდა, ტალახში იყო ამოსვრილი და დამჭკნარ ბალახებში გახვეული. ბოლოს გავიგე, რომ ეს ალბორიშვილი იყო. მოკლული კნოდეში იგი სოფლის ხიმშიაშვილისთვის მიეგდოთ, სოფლის ხიმშიაშვილს კიდევ ოქონაში ზედ შუა გზაზედ დაეგდო.

ხშირმა წვიმებმა ნათესი გამოაბრუნა ყანებს მარცვალი დაუსრულდა, ბზე ნაკლები იქნება. სიმინდები, რომელიც ნაადრევად დაითესა, კარგია, საერთოდ ჭირნახულის ავკარგიანობა შერჩევით არის. ვენახებს გვარიანი პირი უჩანს. მთაგორიან ადგილებსა და ფიცხ მამულებში ნაკლებზე ნაკლები მოსავალი იქნება, ზოგან სრულიად მოსცდა.

ჩვენი კუთხე სწავლა-განათლებით ძალიან არის ჩამორჩენილი. მხოლოდ ყორნისში, თიღვაში, მოხისში და ალში მოიპოვება სამრევლო სკოლები, ესენიც საცოდავ მდგომარეობას განიცდიან, გარდა ალისა. ამ ხეობაში სწავლა-განათლებაზედ არავინ ზრუნავს. გლეხი აწოდენა გადასახადს იხდის, მაგრამ ანბანის შესწავლის საშუალებაც-კი არ მოეპოვება

იანვარს აქეთ ოქონის მრევლი უმღვდლოდ არის. თუმცა ახალის ცირკულიარით მრევლს ნება აქვს თავის სურვილით აირჩიოს მღვდელი, მაგრამ ამით სარგებლობს ოქონის მრევლი—თავადი, აზნაური და გლეხი—ისე შეეჩვია უღვდლობას და უეკლესიობას, რომ აღარც კი საჭიროებს; მხოლოდ ბავშვის მონათვლის, ქორწინებისა და მკვდრის დასამარხავად თუ მოაგონდებათ მღვდელი და ეკლესია. Legatus.

### პასუხი „კახეთის" საზოგადოების კომისიას და გამგეობას

„კახეთის" საზოგადოების გამგეობამ და „საქმის მწარმოებელმა" (sic!) კომისიამ დიდი ხნის დუმილი დაარღვიეს მთელი თვის სიარტილერია მოძრაობაში მოიყვანეს. ვეებერთელა საბრალმდებლო ოქმი შეადგინეს და გაზ. „ისარში" დასტამბეს (ხ №№ 139, 140 და 141) დასახელებულ წერილში გამგეობა და კომისია მთელის თავიანთ ძალ-ღონით სცდილობენ მუშებს სახელი გაუტეხონ, საზოგადოებას დაუმტკიცონ თავიანთი „უმანკოება", მუშები კი ყაჩაღებად გამოიყვანონ. სანამ მათი წერილის სიყალბეზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ ვსთვლით ბურუსის გასაფანტავად და სიმართლის აღსადგენად მოკლედ საქმის გარემოების გაცნობას.

ჩვენ, მუშებს, არა ერთხელ გამოგვიაშკარავებია „კახეთის" საზოგადოების მუშების მდგომარეობა. ვინც კი ქართულ გაზეთებს ამ უკანასკნელ წლებში თვალყურს ადევნებდა, მას უეჭველია ეხსომება ჩვენის მდგომარეობის შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობები. ამის გამეორება დღეს ზედ-მეტად მიგვაჩნია საზოგადოდ მუშების მდგომარეობა და კერძოდ „კახეთისა" რომ სანატრელ-სახარბიელო არ არის, ეს დღეს ბავშმაც იცის. პირველ ყოვლისა საჭიროდ ვსთვლით გავაცნოთ საზოგადოებას ის კონფლიქტი, რომელმაც ასეთი საბრალმდებლო ოქმი და აურ ზაური გამოიწვია გამგეობა—კომისიის მხრით.

წელს, მარტში, როცა „კახეთის" საზოგადოების წევრთა კრება იწყებოდა, მუშებმა გამგეობას მოთხოვნები წარუდგინეთ. საზოგადოების წევრთა კრებამ ამ მოთხოვნების განხილვა და დაკმაყოფილება „საქმის მომწესრიგებელ" კომისიას მიანდო. კომისიამ თავის მხრით მუშებს წარმოგვიდგინა „კახეთის" სარდაფში მომავალ მუშაობის წეს-რიგის პროექტი. მათი პირველი პროექტი ჩვენ მიერ არჩეულმა კომისიამ განიხილა, აქა-იქ შეასწორა და გაუგზავნა გამგეობას და კომისიას. კომისიამ ჩვენ მიერ შესწორებული წესების პროექტის მუხლები ზოგი მიიღო, ზოგი შესცვალა, ზოგიც უცვლელად დასტოვა და უკან დაგვიბრუნა. ჩვენ არჩეულ კომისიას საზოგადოების კომისიასთან ერთად რამდენჯერმე საერთო კრებები ჰქონდა. პროექტის შემუშავებამ დაახლოებით ორ თვეზე მეტ ხანს გასტანა. და ბოლოს თითქმის ორივე მხარე შეთანხმებოდით, მხოლოდ განსხვავება იყო შემდეგ მუხლებში, რომლებზე შეთანხმება ვფიქრობდით რადგან ... მოგბოდა: § 1 ... ვითხოვდით ... ექვსი საათის მუშაობას. გამგეობა ითხოვდა რვა საათისას. § 10—კბილის ექიმობ (პლომბის გაკეთება) საზოგადოების ვალია. გამგეობა კი უარს ამბობდა პლომბის გაკეთებაზე. ამ შეუთანხმებელ მუხლების შეთანხმებას ჩვენ მოველოდით ოცდა ექვს მაისს. მაგრამ შეთანხმების ნაცვლად მივიღეთ გამგეობისა და კომისიისაგან შემდეგი პასუხი: „28 მაისიდან შეჩერებულ იქნება მუშაობა უკეთუ არ მიიღებთ შემდეგ ჩვენს მოთხოვნებს: 1) შემცირდეს პადვლის მუშათა რიცხვი ოცდა სამ კაცამდე; 2) **დაუყონებლივ** მიღებულ იქნას დათხოვნილი მელვინე მჭედლიშვილი". ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება-არ დაკმაყოფილების შესახებ პასუხი უნდა გაგვეგზავნა გამგეობის მოთხოვნილების მიხედვით 24 საათის განმავლობაში მიუხედავად ასეთ მოკლე დროისა, პასუხი ორშაბათს (28 მაისს) დილით ცხრა საათისთვის მზად გვქონებოდა. მაგრამ ორშაბათს სანამ პასუხს მივცემდით, სარდაფი დაკეტილი დაგვხვდა. სანამ ჩვენს პასუხს გამგეობა და კომისია მიიღებდა, ჩვენ მივიღეთ მათი განცხადება, რომელიც მოგვყავს უცვლელად: **„რადგან „კახეთის" სარდაფის მუშებმა არ მიიღეს კომისიის მიერ წარდგენილი პირობები და არ დადგნენ სამუშაოთ, დღეიდგან ითვლებიან თავის ნებით გასულებათ და შეუძლიანთ მიიღონ ანგარიში საზოგადოების კანტორაში (ერევნის მოედანზედ) ყოველ დღე 12—2 საათამდე, პირველ ივნისამდე. 1907 წ. მაისის 28-სა დღესა".** ზემო მოყვანილ განცხადების პასუხი ჩვენის მხრიდან იყო ასეთი: თქვენი განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება სინამდვილეს. 1) მუშებს თქვენის წინადადებითვე (26 მაისს) **შეეძლოთ 28 მაისს 12 საათამდე მოეცათ თქვენთვის პასუხი,** თქვენ არ დაუცადეთ **ჩვენ პასუხს და მუშები არ დაუშვით სამუშაოთ;** 2) თქვენ ამბობთ, მუშები „არ დაადგნენ სამუშაოს"-ოო; ეს ტყუილია, რადგან მუშები 28 მაისს მივიდნენ სამუშაოდ სარდაფში, მარა მათ უპასუხეს, რომ გამგეობამ სარდაფი დაკეტა და მუშაობა არ შეიძლებაო. ცხადია, თქვენი განცხადება ყალბია". ოცდა ექვს მაისს გამოგზავნილ მოთხოვნებზე ვუპასუხეთ ასე: 28 მაისს ჩვენ „კახეთის" საზოგადოების მუშებმა ვიქონიეთ მსჯელობა საზოგადოების კომისიის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებზე (26 მაისის თარიღით) და დავადგინეთ შემდეგი: 1) ჩვენ მიერ წარმოდგენილ სამუშაო წესების უკანასკნელ პროექტს, რომელიც გამგეობას და კომისიას ხელთა აქვთ, სავალდებულოდ ვრაცხთ როგორც ჩვენთვის, ისე საზოგადოების ადმინისტრაციისათვის; 2) მოვითხოვთ დაკმაყოფილებას იმ მოთხოვნებისას, რომელიც გამგეობას წარედგინა მიმდინარე წლის მარტში, 3) ვინაიდან ჩვენი (მუშების) შეხედულებით „კახეთის" საზოგადოების წარმოება არავითარ კრიზისს არ განიცდის, გამგეობისა და კომისიის მოთხოვნა მუშების დათხოვნის შესახებ უსაფუძლოთ მიგვაჩნია. როცა ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი ორივე მხრიდან იქნება მიღებული, მაშინ მიიღებთ პასუხს მუშების დათხოვნის შესახებ; 4) ვინაიდან მელვინე მჭედლიშვილი მისი ცუდი მოქმედებისთვის ჩვენგან დათხოვნილია, მის მიღებაზე უარს ვაცხადებთ".

ჩვეულებისამებრ თვის დამლევს მოვითხოვეთ ჯამაგირები. გამგეობამ კი ასე გვიპასუხა: 1) ვინაიდან ჩვენი პირობანი არ მიიღეთ, 28 მაისიდან თქვენ ჩვენი სარდაფის მუშებათ არ ითვლებით; 2) ვინაიდგან ანგარიშის მისაღებათ არ მოხვედით პირველ თიბათვემდე, ამის გამო იძულებული შევიქენით ის ფული, რაც პირველ თიბათვემდე გერგებოდათ, გავუგზავნა მესამე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეებთან, რომელთანაც უნდა მიხვიდეთ ამ ფულის მისაღებათ. 3) **დღეიდგან სარდაფში მუშაობას მოვაწყობთ სულ სხვანაირად (?) ვიდრე აქამდისინ იყო, ე. ი. გარედან მუშას აღარ ავიყვანთ და ვიმუშავებთ მარტო ჩვენ, თვითონ საქმის მონაწილე წევრნი და ღვინის მომყვანნი".**

ყოველ დღე ჩვენ მივდიოდით სამუშაოთ, მაგრამ ჩვენთვის სარდაფის კარები მაგრა იყო გამოკეტილი. 8 თუ 9 ივნისს გამოგვიცხადეს, რომ თვითონ გამგეობა და „საქმის მწარმოებელი კომისია“ (Sic!) მუშებს გვითხოვს და ჩვენს ნაცვლად ამუშავებს „შტრეიხბერებს“. ასე ამ რიგად, გამგეობასა და მუშებს შორის ბრძოლა გაღრმავდა და გამწვავდა. ბრძოლამ სულ სხვა სახე მიიღო: პირველმა რუსეთის ლოკაუტებით წახალისებულმა ლოკაუტი გამოაცხადა, ხოლო ლოკაუტისტებს სარდაფის პროფესიონალურმა კავშირმა უპასუხა ბოიკოტით. ამ ბრძოლამ, რასაკვირველია, გამგეობას და კომისიას სიმშვიდე დაუკარგა და მიიყვანა საბრალმდებლო ოქმის შედგენამდე.

ეხლა შევეხოთ სიყალბით გაჟღენთილ „საბრალმდებლო ოქმს“. „ხე ხენეში ნაყოფს ხენებს გამოიღებსო“, სწორედ ამ კომისიაზედ ითქმის. კომისია და „კახეთის“ საზოგადოების გამგეობა ამ „ოქმში“ „რად დავითხოვეთ მუშები „კახეთის“ საზოგადოებიდან“ თავის გასამართლებლად საზოგადოებას „გლახა ქრიაშვილისებრ“ გაქიანურებულ ზღაპრებს ლიტონი სიტყვებით უმტკიცებს. მუშებს ბრძოლით არაფერი მოუპოვებიათო. „ჩვენ მუშებს—ამბობს იგი—დიდი ხანია ჰქონდათ მინიჭებული (ძალიან გულკეთილი კია „კახეთის“ საზოგადოების გამგეობა!) ცხრა საათის სამუშაო დღე. „მივანიჭეთ“ 1905 წ. რვა საათის სამუშაო დღე“, „დავადგინეთ მუშის მიღება და დათხოვნა მუშების თანხმობით ხდებოდეს“; „ბრძოლა რა სათქმელია, თხოვნა რა არის, თხოვნითაც არ მიუმართავთ, ჩვენ ჩვენის სურვილით და ნება-ყოფლობით მივანიჭეთ (?) ეს უპირატესობანიო.“ მართალია ეს?!

„კახეთის“ საზოგადოების დაარსებიდან თითქმის 1902 წლამდე სამუშაო დრო განუსაზღვრელი იყო. რიჟრაჟიდან დაწყებული საღამოს 9—10 საათამდე — დიდ დღესასწაულობის წინა დღით შუაღამემდის—მუშაობდნენ. 1902 წ. „კახეთის“ მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ჯამაგირების მომატება. 1902 წ—დე თვიურად მუშები იღებდნენ 10—15 მან. ამ გაფიცვის შედეგი იყო ჯამაგირების მომატება და ასე თუ ისე ზოგი პირობების გაუმჯობესობა. აშკარაა, მუშებს ბრძოლით დაგვიწყვია პირობების გაუმჯობესება. გამგეობა ამბობს: „მხოლოდ ორი მუშა დავითხოვეთ“. ჩვენ მოგახსენებთ „არა ორი“, არამედ მეტი და საკმარისია ამ თქვენი სიცრუვის დასამტკიცებლად მოიგონოთ ზემო დასახელებული წლის გაფიცვის დროს თუ რამდენი მუშა დაითხოვეთ..“ რად გავიწყდებათ ეს და განზრახ რად აფუჩეჩებთ ამ ფაქტს?! „კახეთის“ საზოგადოების გამგეობა და კომისია თვალებზე ჩვეულებრივად ხელს იფარებენ, ფაქტებს თვისებისამებრ ამახინჯებენ და ასე ამ რიგად მიზნათ ისახვენ საზოგადოებასაც თვალები აუხვიონ და ფონს გავიდნენ. ეს ზნეობრივად დაღის დამსმელი დიდი ფაქტი—მუშების უმიზეზოდ დათხოვნა სურთ უშველებელი ქოჩრების შემწეობით, ფაქტების გადამახინჯებით, გადაყლაპონ, ლელო გაიტანონ და თვითონ საზოგადოების წინაშე პირნათლად წარსდგნენ. გამგეობამ ჩვენ, მუშებს, ვითომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება „მოგვანიჭა“, და „მაშ, რა მიზეზია, რომ მუშები მაინც ბუზღუნებენ, რისთვის გაიფიცნენ ამ ორი წლის წინეთ და ბოიკოტი გამოგვიცხადესო“? 1905 წ. ბოიკოტი და გაფიცვა სწორედ იმ უფლებების (მიღება და დათხოვნა) მოსაპოებლად გამოვიცხადეთ, რომელსაც ეხლა თქვენ ასე თამამად ფეხქვეშა სთელავთ. მაშინაც გსურთ „მიღება-დათხოვნის“ უფლებები მუშებისთვის წაგერთმიათ და დღესაც ესა გსურთ. კომისიის და გამგეობის აზრით ჩვენ, მუშებს, „მრუდე გზა“ აგვირჩევია „მუშაობის პირობათა გასაუმჯობესებლად“. დიახ, სწორედ, თქვენის კაპიტალისტების აზრით „მრუდე გზაა“ გაფიცვა და ბოიკოტი. ეს თქვენი შეხედულება ჩვენ ვიცით, მაგრამ ჩვენ ვერ დავდგებით მაგ თვალთახედვის ისარზე და არცა ვდგევართ, ვინაიდგან მუშას ბრძოლის იარაღად ერთად-ერთი გზა დარჩენია—გაფიცვა და ბოიკოტი. მათ მეტი საშუალება ხელთ არა აქვთ კაპიტალისტების საწინააღმდეგოდ, და ამ საშუალებას „მრუდე გზას“ ეძახით, ეს გზა თქვენ არ მოგწონთ და არც უნდა მოგწონდეთ, მაგრამ არ მოწონების გამო ისე კი არ უნდა დახურდავდეს ესა თუ ის კლასი, რომ ზღაპრებს და ჭორებს ხელი მოჰკიდოს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

გამგეობა აღნიშნავს, რომ ჩვენ მოვითხოვეთ დაგვიანებული დრო გამოერიცხათ იმ დროიდან, რომელიც გვეძლეოდა ერთის თვის თავისუფლებისათვის. ეს ყველა ქვათა-მყოფელისათვის ცხადია, არც ერთი მუშა არ დათანხმებულა და არც დათანხმდება, რომ თავისუფლებისათვის მოპოვებულ დროიდან სისტემატიურად გამოერიცხოს ხოლმე დაგვიანებული დრო. ასეთი შემთხვევა ჩვენ შორის არა ყოფილა და თუ იყო, აუცილებლად საჭიროა მითითება იმ მუშაზე, რომელმაც განაცხადა „დაგვიანებული დრო თვიურ დასვენებიდან გამოერიცხეთო“, მანამდის კი ჩვენ ვიტყვით—ეს არის განგებ მოჭორილი ამბავი. როგორც თვითონ გამგეობა და კომისია თავიანთ ვეებერთელა წერილში ამბობს, „კახეთის“ საზოგადო კრების წევრები წინააღმდეგნი არა ყოფილან, რომ მათ მიერ არჩეულ კომისიას მუშების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა და არც „უნდა ჩამოერთვა უკვე შეძენილი უფლებანი“, ამასთანავე კომისიას „მკაფიოდ დაავალეს—მოსთხოვეთ მუშებს, რომ ფეხით არა სთელონ სხვის უფლებანი“-ო. აი საზოგადო კრებამ ესეთი უფლებები მიანიჭა კომისიას. წესების პროექტის წარმოდგენის დღიდან არც სიტყვიერად და არც წერილობით ერთხელაც კომისიის წევრებს და გამგეობას კრინტიც არ დაუძრავთ მუშების რიცხვის ოცდა სამამდის შემცირებაზე და მეღვინის უკან მიღებაზე. წესების შემუშავების დროს თითქმის ორი თვის განმავლობაში ისეთი უთანხმოება კომისიასა და მუშებ შორის მოლაპარაკების დროს არ მომხდარა, რომ საქმე გაემწვავებინა. მაშ, რად გამოატყვრინეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ახალი პირობები—მუშების სანახევროდ დათხოვნის და მეღვინის ხელახლად მიღების—და ისიც სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ საქმე მორიგებამდის მივიყვანეთ? მხოლოდ იმისთვის, რომ მიეღწიათ თავიანთ მიზნისათვის და მათი მიზანი კი ის იყო, რომ ყოველ შემთხვევაში ყველა ჩვენგანი თავიდან მოეშორებინათ. აი ამ მიზანმა ბოლოს იმდენად გაიტაცა გამგეობა და კომისია, რომ ორი თვის ნამუშავარს წიხლი ჰკრეს, რამდენიმე საათი ვეღარ მოიცადეს და მხოლოდ იმის მიხედვით, რომ რადაცას სადღაც „ყური მოჰკრეს“ (sic'!), გადასწყვიტეს ჩვენი დათხოვნა და სხვების სამუშაოდ მოწვევა. „ყვავს გაფრენა უნდოდა, მაგრამ ხელის ქნევას ელოდებოდაო“. რაკი კომისიას და გამგეობას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვენი დათხოვნა, ყური რომ არაფრისთვის არ მიეკრათ, მოეზმანებოდათ მაინც ისეთი რამ, რის გამოც საჭიროდ დაინახავდნენ ისეთ ნაირათვე მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცნენ. აი, სადა მარხია ძაღლის თავი და არა იქ სადაც გამგეობა და კომისია მიგვითითებენ.

დასასრულ, კიდევ რამდენიმე მოსაზრება. „კახეთის“ გამგეობის და კომისიის წევრნი სხვა მრავალ მ. ღ. მოძმეთა მსგავსად გაიძახიან: მუშები თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებენ, მუშებმა ანარქია შემოიტანეს საქმეში, მუშები არავითარ დისციპლინას აღარ ემორჩილებიან, მუშების მოთხოვნებს საზღვარი აღარ აქვს, მუშები ვეღარ აფასებენ უფლებებს, რომელსაც ნებით ანიჭებენ მათ ხაზეინები, მუშები კანონიერებას არღვევენ, წესიერი საშუალებით ბრძოლას გაურბიან და ძალმომრეობას ადგანან და სხვა და სხვა. დავეთანხმოთ ერთ წუთს, რომ ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ერთი ესეც გვიბრძანეთ, განა ბევრი ითავცემეთ და იშრომეთ თქვენ და თქვენისთანებმა, რომ ჩვენ, მუშებს, საშუალება გვქონოდა კანონიერისა და წესიერის გზით გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ყოფა-ცხოვრება. რა უფლება და სახსარი გვაქვს ჩვენ დღეს ხელში, რომელი პირობა და გარემოება გვიწყობს ხელს სასურველი წეს-რიგი დავამყაროთ როგორც ჩვენ შორის მუშაობისა და ჩვენი მოვალეობის ასრულების, ისე იმ დამოკიდებულების მოწესრიგების საქმეში, რომელსაც ჩვენ და ჩვენ მყვლეფელების შორის არსებობს? სანამ შეძლება და საშუალება გვქონდა ექსპლოატაციის ჭაპანს გვაზიდინებდით და ფიქრადაც არ მოგსვლიათ ჩვენი მდგომარეობა გაგეუმჯობესებინათ. მხოლოდ გუშინ მიჰყევით ღაღადს, ვითომც თქვენ ადამის დროიდან მარტო იმას სცდილობთ, რომ მუშების მდგომარეობა გაგეუმჯობესებიათ. დღეს კი, როცა მთელის რუსეთის ბნელეთმა დროებით ძალა მოიკრიბა, მყვლეფელთა ბრბო სიხარულით ფეხზე აღარ სდგას, რეაქციის მთავარ ანგელოზებთან ერთად მთელ მუშა ხალხს მახვილით თავზე დასდგომიან და სულის ამოხდას უქადიან. ასეთია თქვენი და თქვენისთანების ჰუმანიური ქამანდები. წარმოებაში ანარქია შემოიტანესო. რუსეთის წარმოებაში ანარქია მაშინ იყო გამეფებული, როცა მუშა უტყვი იყო. უთაურობა, საქმის უცოდნელობა, მტაცებლური ექსპლოატაცია როგორც მუშისა, ისე ბუნების, თვითეულ უვიც ხაზეინის ფარფაში და უმზგავსო ბატონობა, პოლიციის და ხაზეინების თარეში ქარხნებსა და ფაბრიკებში, ათასგვარი დასახიჩრება მუშებისა, ყოველგვარი უბედურება თუ მოშხამული ჰაერისაგან, მანქანების უვარგისობისაგან, ასეთ პირობებში იყო შრომა და წარმოება, სანამ ოდნავ მაინც არ ამოვკარით აღვირი ჩვენ მყვლეფელებს და თუ აქ რამე გაუმჯობესდა, თუ შორის აღარ არის ის დრო, როცა წარმოება შრომასა და წარმოებას შორის ბრძოლა კულტურულ ფორმებში მოიქცეს, ეს იქნება ჩვენი და არა თქვენი წყალობით.

აი, სწორედ ჩვენც ეს გვქონდა სახეში, როცა მოლაპარაკება გავმართეთ „კახეთის“ საზოგადოებასთან. თუ წარსულის დაფასებაზედ მიდგა საქმე, არ ვფიქრობთ, რომ ან ჩვენი ხაზეინების და სხვა მყვლეფელთა მოღვაწეობა შრომა და მუშაობა შეუმცდარი, უმწიკლო, სავსებით კანონიერი და კეთილ-სინიდისიერი იყოს. და თუ ეს გახლავთ, მაშ, თქვენც და სხვამაც აიღონ ხელი წარმოებაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენ ამას არ იზამთ. მაშ რაღა დაგვრჩენია? არაფერი, გარდა ბრძოლისა.

„კახეთის“ საზოგადოების მუშები.

# რუსეთი

✦ **ახალი ხარჯები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო საჭიროებისთვის, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი არ არის გადადებულია $2^1/_2$ მილიონი მანეთი, ეს თანხა სამი თვის განმავლობაში.

✦ **ყუმბარები რკინის გზაზე.** ვარშავი-პეტერბურგის რკინის გზაზე მიმავალ მატარებელს, სადაც იჯდა ლეიბ-გვარდიის ვოლინის პოლკის ათი აფიცერი და 447 სალდათი, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა სამი ყუმბარა შეუდვეს ასაფეთქებლად. იქვე ახლოს მიაგნეს დაწყობილ მავთულებს, რომლის საშუალებით ტყიდან უნდა აეფეთქებინათ მატარებელი. მატარებელი გადარჩა; დაჭრილია მხოლოდ ერთი სალდათი.

✦ **უწესოება ლადოგას არხზე.** 23 ივნისს ლადოგას არხზე გაგზავნა ჯარი სოფლებო უწესობათა ჩასაქრობად. რუსეთის გაზეთების სიტყვით ერთად თავ-მოყრილი ორი ათასამდე გლეხი არხთან იდგნენ და გემებს აჩერებდნენ. მაზრის უფროსი აჯერებდა გლეხებს დაშლილიყვნენ, მაგრამ ვერაფერს გახდა: ისინი ქვებით დაუხვდნენ სამაზრო პოლიციელებს, ასტყდა სროლა, რომლის დროს მოკლულ იქნა 4 გლეხი და დაიჭრა 18; დანარჩენები დაიფანტნენ. პეტერბურგიდან ჩამოსულმა ვიცე-გუბერნატორმა სასტიკი წინადადება მისცა გლეხებს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას.

✦ **მასწავლებელთა კრება.** პეტერბურგში მოხდა და ამას წინად დასრულდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელთა კრება, რომელსაც დაესწრო 150 მდე კაცი. წაკითხულ იქნა მოხსენებანი საორგანიზაციო, საზოგადო-პოლიტიკური და პროფესიონალური ხასიათისა. ჩამოვარდა ლაპარაკი კავშირის დაკანონებ ს შესახებ, რაიცა კრების უმრავლესობამ უარჰყო. კავშირის ძირითადი მიზანი პროფესიონალურ-პოლიტიკურია. კრების აზრით პროფესიონალურ მხარეს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციებს ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნა ადმინისტრაციამ, პოლიტიკურმა საკითხებმა კავშირის პირდაპირი მიზანი დაჩრდილა. კრებამ დაადგინა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა უუფლებრივ მდგომარეობას. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია ურჩიონ კავშირის წევრებს, არ მიიღონ მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში, ეცადნენ ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებთან დაწესდეს საერო განათლების კომისიები მასწავლებელთა მონაწილეობით, უარყოფილ იქნას უმაღლეს კლასში გადასასვლელი ეგზამენები და სხვა.

კრების დროს გამოირკვა, რომ პროვინციის ერთ ორგანიზაციას დააკლდა ადმინისტრაციისაგან დევნილი და დატუსაღებული 200 კაცი.

✦ **საიდუმლო დოკუმენტი.** გაზ. „რუს. ვედ.-ში“ დასტამბულია წერილი აღნიშნულ სათაურით, სადაც ფრიად საინტერესო ცნობებია მოყვანილი იოლოსის მოკვლისა და ვიტტეს მოკვლის განზრახვის შესახებ. დაწვრილებით ამბავს ხვალ გადავცემთ მკითხველებს, ჯერ-ჯერობით კი ვაუწყებთ, რომ ხსენებულ დოკუმენტის რამდენიმე პირი ს. რევ. პარტიამ გაგზავნა პეტერბურგის გაზეთების რედაქციებში. ამ დოკუმენტში მოთხრობილია, რომ ს.-რევ-რების ერთ კრებაზე გამოცხადდა ვიღაც უცნობი ახალგაზდა მუშა და აღელვებით მოუთხრო დამსწრეთ, როგორ შეაცდინა იმისი ამხანაგი ერთმა ამხანაგმა, მოაკვლევინა იოლოსი, რომელიც სარევოლიუციო პარტიის მოღალატედ წარმოუდგინა და ვიტტეს წინააღმდეგ ბოროტ-განზრახვაში მონაწილეობა მიაღებინა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ შემაცდენელი შავ-რაზმელი ყოფილა, რისთვისაც სიკვდილით დასჯილ იქნა. ს.-რევ. პარტიამ გამოიკვლია, რამდენად მართალი იყო ახალგაზდა მუშის ჩვენება, დარწმუნდა იმის სიმართლეში, ასწერა მთელი ეს ამბავი და რედაქციებს გაუგზავნა.

## წერილი რედაქციის მიმართ

1905 წ. 7 დეკემბერს მე მივიღე „მოგზაურის“ რედაქციიდან 642 მ. 67 კ, მაგრამ იყო თუ არა ამ ფულში იმ 240 მ. ნახევარი, რომელიც ბ-ნ დონდუას შეუგროვებია („ისარი“ 137 №) და რომლის შესახებაც ბ-ნი ფ. მახარაძე ამბობს—კნ. ნ. ნაკაშიძეს გაუგზავნეო, მე არ ვიცი, რადგანაც ბ. მახარაძეს ჩემთვის შემომწირველთა სია არ გამოუგზავნია ანგარიში ამ ფულის და საზოგადოთ სხვა შემომწირველთა შესახებ დაიბეჭდა „შრომა“ სა და „მეგობარ“-ში

ნინო. ნაკაშიძე.

---

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენის გაზეთის საშვალებით შევეკითხო ბ-ნ ვასილ კირვალიძეს მაცნობოს, გაზეთისავე საშვალებით, თუ როდის და რომელს წელს, საზოგადოებას, ან კერძო პირს გადასცა ჩემგნით მიცემული ხარბინში ხუთი თუმანი დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. რადგან ბ ვასილ კირვალიძე მოსურნეა გამოარკვიოს საზოგადოების წინაშე ბედ-იღბალი ყველა იმ ფულისა, რომელიც ხარბინში მოგროვდა ზემოხსენებულ მიზნისათვის, ამიტომ მეც არა მგონია, რომ ჩემი შეკითხვა დრო-მოსულ ნიადაგზედ არ იდგას და საყურადღებო არ იყოს საზოგადოებისათვის, რის გამო ვთხოვ ბ-ნ ვ. კირვალიძეს პასუხს ნუ დააგვიანებს.

ფელშერი ლადო ბეგაური.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივლისი

**რ უ ს ე თ შ ი.**

**კელცი.** მოჰკლეს ჟანდარმის უნტერ ოფიცერი.

**კრასნოიარსკი.** ანჩინსკში ხიდ ქვეშ აღმოაჩინეს გატენილი ყუმბარა, რომელიც აფეთქდა და მძიმედ დაჰკრა ყუმბარის აღმომჩენი სალდათი და ორი ცხენი. ამ ხიდზე გენერალ გუბერნატორმა გაიარა.

**ვარშავა.** ნალევკაში შპილრეინის სახლში ყუმბარა შეაგდეს. კაცთაგან არავინ დაშავებულა. შპილრეინს ბევრი მუქარის წერილი მისდიოდა.

**კიშინიევი.** საპატიმროში ტუსაღებმა მოჰკლეს ტუსაღი კოფმანი. კოფმანმა გასცა ბელოცერკოვის ბანკირის კანტორის გამძარცავები.

**კიევი.** პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ პალერმოში დაუპატიმრებიათ გნივანსკის შაქრის ქარხნის გამგე. გამგემ [illegible] 180,000 მანეთი გაჰფლანგა.

**პოლტავა.** სოფ. [illegible] ექვსი შეიარაღებული კაცი დაეცა ბრეიტვეიტის ქალალდის ფაბრიკას [illegible] თვეს 635 მანეთი ფული და [illegible] ბრეიტვეიტის [illegible] ხურე მოჰკლეს.

**ბახმუტი.** სლავიანსკისთან მატარებელი დაიმსხვრა. მოკვდა ობერ-კონდუქტორი, დაიჭრა მისი თანაშემწე.

**მინსკი.** სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგმა სოფინომ თავისს სახლში თავი მოიკლა.

**ზლატოუსტი.** სადვანის ფოსტის განყოფილებას დაეცა ოთხი შეიარაღებული კაცი. სასიკვდილოდ დაიჭრა და კიდეც მოკვდა ერთი პოლიციელი, ფული და ძვირფასეულობა გადარჩა.

**ოდესსა.** არნაუტის ქუჩაზე პოლეევის სახლში 2 ყუმბარა აფეთქდა. მოკვდა 4 მამაკაცი და ერთი ქალი. ისინი ყუმბარას აკეთებდნენ. ყუმბარამ იქაურობა მიულეწმოულეწა. 9 შეიპყრეს.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლომ განიხილა საქმე იმ არეულობის შესახებ, რომელიც ადმირალ ცივინსკის რაზმში მოხდა. ერთი გაამართლა, 10-ს უვადო კატორგა მიუსაჯა, 29 კაცს 4—20 წლამდე კატორგა და ერთს ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი 5 წლით. გასამართლებულთ ამბოხებისადმი წაქეზებას აბრალებდნენ.

**ოდესსა.** რიშელიეს ქუჩაზე კოფმანის კარდონის სახელოსნოში ყუმბარა შეაგდო ერთმა დათხოვნილმა მუშამ. ყუმბარამ იფეთქა და ცეცხლი გააჩინა. ამით ისარგებლა გადამგდებმა და მიიმალა.

**ელისავეტგორადი.** თავს დაესხნენ შესტაკოვკიდან ზლატოუსტში მიმავალ ფოსტას. დაიჭრა ფოსტალიონი და მეეტლე. 3500 მანეთი გაიტაცეს.

**ლოძი.** პაბიანიცაში მოჰკლეს ერთი მუშა ნაროდოვეცი. მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდა.

**ივანო-ვოზნესენსკი.** ქალაქიდან ათი ვერსის მანძილზე სოფ. კოხმაში სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციელი.

**კელცი.** ანდრეევის მაზრის სოფ. სოვკოვოში 18 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა საარყე დუქანს და საგმინო სამმართველოს. ააფეთქეს კასსა და წაიღეს 300 მანეთი. სტრაჟნიკები გამოუდგნენ და ერთი უცნობი მოჰკლეს.

**ტომსკი.** 1 ივლისს თავისს სახლის მახლობლად მოჰკლეს სასამართლოს წევრი სენიუტკინი.

**ვარშავა.** ვოზნესენსკი ქუჩის კუთხეში სამის ტყვიით მძიმედ დასჭრეს საპატიმროს უფროსის თანაშემწე ნიკოლიჩი. მსროლელი გაიქცა. პოლიციელი გამოუდგა და დაეწია. მაშინ მსროლელმა თავსს მოკვლა დააპირა და რევოლვერი დაიცა, მაგრამ თავი ვერ მოიკლა, მხოლოდ მძიმედ დაიჭრა.

**პრასკოვეი.** ქალაქ სვატოი-კრესტის ახლო-მახლო, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრის გოროდცევის ხელმძღვანელობით თხრას შეუდგნენ და ძველ ქალაქის კვალს მიაგნეს. ქალაქი ალბად ხაზარი უნდა იყოს. იპოვნეს სპილენძის და ვერცხლის ფული მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნისა. აღმოაჩინეს თათრების ძველი სახლები და სასაფლაოები. შიგ ქალაქში იპოვნეს მეორე და მესამე საუკუნის სასაფლაოები.

**კიევი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე საპიორების აჯანყების შესახებ. პასუხის გებაში მიცემული იყვნენ საპიორები. 6—სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, 12 უვადო კატორგა, 20 კატორგა სხვა და სხვა ვადით, 17—სამი წლით გამასწორებელი ბატალიონი, 30—ოთხის თვით ცალკე დამწყვდევა სამხედრო საპატიმროში, 14—20 დღით დისციპლინარული დაპატიმრება. ორი გაამართლა.

საპატიმროში პატიმარმა დანით მოჰკლა მეთვალყურე სედლეცკი.

სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის სად. ჰოგრებიშჩეში უცნობმა დასჭრა ერთი ჟანდარმი.

**ლოძი.** ალექსანდროვის ქუჩაზე პარტიულ ნიადაგზე სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა.

**კრასნოიარსკი.** აღმოაჩინეს ს.-რევოლიუციონერების დიდი და კარგად მოწყობილი სტამბა. იპოვნეს დიდ-ძალი ლიტერატურა. სამი კაცი დააპატიმრეს; მათ ყალბი დოკუმენტები უნახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოგილიოვი.** დაბა სმოლინში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 114 ებრაელის სახლი და 15 ქრისტიანისა, 70 დუქანი, სახაზინო სარაყე დუქანი, არაყი და ფული. ცეცხლმა ათლამზე ებრაელის ქალიც იმსხვერპლა. ტელეგრაფი გაფუჭდა. ერთი ცეცხლის წამკიდებელი შეიპყრეს.

**ლოძი.** რადგან ფაიფლეა ამრეშერელის მანუფაქტურის მუშათა ერთი ნაწილი შემოვიდა, თორმეტი ქარხნის პატრონმა ლოკაუტი გამოაცხადა.

**კისლოვოდსკი.** 2 ივლისს რევოლუციონერებმა აქციზის მოხელეების ბინები გაჩხრიკეს, ამოხიზნეს 4 ყუთბარა, წიგნები, პატრონების საფერუნი და ლიდიდა აკრძალული ნაწერები. რამდენიმე კაცი დაპატიმრებული.

**ეკატერინოდარი.** არმავირის უმთავრეს ქუჩაზე მოკლეს პატრიულ ნიადაგზე მილიმელი მენინარიო.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

30 ივნისი.

**ტოკიო.** გაზეთები აცნობებენ, რომ იაპონიაში ჩინელ სტუდენტთა რიცხვმა იკლო. ჩინეთი ამოელეში თურმე სკოლებს და იწყებს უცხოელ მასწავლებლებს.

**ოსტენდი.** იაპონიის ელჩი ასეა და ადმირალი იამამოტო ბუზენილთან სადარბაზოდ იყვნენ. დარბაზობის შემდეგ ბუზენილმა ოფიციალურად გამოაცხადა, ბრიტანო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ადმირალ იამამოტოს დიდ ხანს ესაუბრა. მუსაიფს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იამამოტოს აზრით. მსოფლიო ომს შორის რუსეთი თანხმობა და მეგობრული განწყობილება.

**იოჰანესბურგი.** ლოკაუტის სამხრეთ აფრიკის მთავრობამ აღმოაჩინა. სამი კაცი მოკლეს, დაჭრეს მრავალი. სასტუმროში სოფი ზრდილ 25 ივნისს ამოიღეს სტამბის ორი მანქანა და სანდრიდი დაიჭირეს.

**ბერლინი.** შეერთებულ შტატების მთავრობის ცნობებით, იქ თურმე სიცხეებმა დაიჭირა. ტემპერატურა ნოლს ზემოთ ასცდა.

**ლონდონი.** როგორც რეიტერის სააგენტოს სან-დიეგოდან (კალიფორნია) აუწყებენ, ორი იაპონელი ორფეხზე აპორტში მოხსენებით ფორტის კომენდანტმა იაპონელი ჯაშუშები თავის შესახებ, რომ იქ ლაპარაკი იაპონელ ბრწყინვალე სავარჯიშოს ამბავი იყო. ორივე იაპონელი ფორტს გეგმას იღებდნენ. საქმის ოფიცრის გაზეთებს სიტყვით, ამ ამბავმა ამერიკაში დიდი აღელვება გამოიწვია იაპონელების წინააღმდეგ დემონსტრაციები გამართეს.

**ნიუ-იორკი.** როგორც სან-დიეგოდან ფორტიდან იუწყებიან, დაასკვნეს მთავრობის იაპონელები, რომელნიც ლამიზ იყო. უმთავრეს სხვა და სხვა დადგენილება და სანოვიროს ოლქისა.

**ვენა.** „ნოიე-ფრეიე-პრესე"-ს რომის კორესპონდენტი (ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის შორის) აუწყებენ, რომ სამთა კავშირი 1902 წლიდან ექვსი წლის ვადით, იმ პირობით, რომ კავშირი კიდევ ექვსს წელს გაგრძელდეს, თუ ერთი წლის განმავლობაში რომელიმე მოკავშირე სახელმწიფომ უარი არ განაცხადა. ასეთივე ხელშეკრულებაა თურმე გერმანიასა და იტალიის შორის. ამნაირად სამთა კავშირი 1914 წლამდე გაგრძელდება, რადგან წელიწადი გავიდა, მაგრამ უარი არავის განუცხადებია

**ტოკიო.** იაპონელი თვიური ჟურნალი „ტაკო" გადაჭრით უარყოფს, რომ ამერიკა-იაპონიის შორის ომი მოსალოდნელი არ არის. იაპონელების მხრივ ეს დიდი უმადურება იქნებოდაო, ამბობს ჟურნალი, რადგან იაპონია ბევრით არის მოვალე ამერიკისა. ახლა, კიდეც რომ მოვიგოთ ომი, მაინც ეს ამბავი სამუდამოდ ჩაშლის ამერიკა-იაპონიის შორის მეგობრულ განწყობილებასაო. ოკუმასი და სხვა ომის მოსურნეთა განცხადება უაზრობად და სახელმწიფოს და სამშობლოს ინტერესების უცოდინარობად უნდა ჩაითვალოსო. ინციდენტთა დასაშოშმინებლად, ჟურნალი ურჩევს იაპონიასა და ამერიკას შეთანხმდნენ. იაპონიამ გადაჭრით უნდა განაცხადოს, რომ სრულებით არა სურს ჰავაისა და ფილიპეს კუნძულების დაჭერა. ხოლო შტატებმა გადასახლებულ იაპონელთა საკითხი იაპონელთა სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტონო.

**ბერლინი.** 29 ივნისს სისხლის სამართლის სასამართლომ გაარჩია მწერლის კარფუნელშტეინის და რედაქტორის ვეიდტის საქმე. ისინი ცნობილნი არიან, როგორც საერთაშორისო ანარქისტები და რუსეთის ტერრორისტებთან მჭიდროდ დაახლოვებულნი პირნი. გამოირკვა, რომ კარფუნელშტეინი ხელმძღვანელი იყო საიდუმლო საზოგადოებისა, რომელიც მთელ გერმანიას იყო მოდებული და აზრად ჰქონდა რუსეთის რევოლიუციონერებისთვის იარაღი და ასაფეთქებელი მასალა მიეწოდებინა. სასამართლომ გამოარკვია, რომ საიდუმლო კავშირის განყოფილება იყო კეტენსა, პერლინსა, კარტოვიცასა, გრაცსა და ლოზანაში. ბრალდებულნი ამ კავშირის წევრებად ყოფილან. სასამართლომ მიუსაჯა კარფუნელშტეინს 4 თვით, ხოლო ვეიტს ერთი თვით საპატიმრო.

ბერლინის პოლიციამ სთხოვა უნივერსიტეტის რექტორს, აუკრძალოს სტუდენტებს რუსების სამკითხველოებში სიარული.

**პარიზი.** 1 ივლისს, როდესაც პრეზიდენტი ელისეის სასახლეში ბრუნდებოდა, მარიანის ქუჩაზე უცნობმა ორჯელ რევოლვერი გაისროლა. არავინ დაშავებულა. უცნობი დააპატიმრეს.

**სტამბოლი.** ალექსანდრიაში სასტუმროში ექვსი კაცი გახდა ავად შავი ჭირით. ხუთი კაცი ევროპელია. დააწესეს კარანტინი.

**პარიზი.** ფედერაციამ პარიზსა და ბევრ სხვა ქალაქში გამართა მიტინგები მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. პროტესტი გამოიწვია მთავრობის მოქმედებამ როგორც ფედერაციის, ისე მეღვინეთა მიმართ. მოხდა რამდენიმე მცირე შეტაკება. დააპატიმრეს 10 კაცი.

**ტულონი.** 30 ივნისს შუაღამისას მანიფესტანტებმა განიზრახეს იმ საზოგადოების გარეკა, რომელიც პლას-დეზარმშის კონცერტზე იყო. საქმეში პოლიცია ჩაერია. მოხდა შეტაკება. ორსავე მხრიდან რამდენიმე კაცი დაიჭრა. დაპატიმრეს ბევრი. როდესაც ჟანდარმერიამ იერიში მიიტანა, ბევრნი ცხენებს რევოლვერებს ესროდნენ და შუშხუნებს უშვებდნენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

**ახალი წიგნი**

წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია

**„ამბოხება კახეთისა"**

**1812 წ.**

**ა. ფრონელისა.**

**ფასი ერთი მანეთი**

იქვე იყიდება **„მთიულეთი 1804 წ."** იმავე ავტორისა. (20—უ.—20)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გოგიჩაიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—105)

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. შ ტ რ ე ი ხ ე რ ი ს ა**

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

**ფასი მკურნალობისა:**

| | |
|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ . . . . | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . | 20 „ |
| კბილის გაწმენდა . . . . . . . . | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | |
| პლომბა გუდაპერჩისა . . . . . . | 50 „ |
| „ „ ცემენტისა. . . . 1 მ. | |
| „ „ მეტალიური. . . 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა . . . . . 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა . . . . 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | |
| „ „ წმინდა ოქროსი. . . 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | |
| „ „ დიოტორიტიული. . 1 „ | |
| „ „ კრამპონისა . . . 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | |
| „ „ თითო კავი . . . . 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე . . 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა . . . . . 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . . . . . 1 „ | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | |

(100—ბუხ.—12)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისა**

**ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верiйскiй спускъ д' 15 и 5. (100—71—43)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა ფეხსაცმელების სახელოსნო

## „იმედი"

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.

სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

## მხოლოდ

იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კ ე ფ ი რ ი

## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—37) პატივ. **ო. კორონა.**

წიგნების გამომცემელი

## ამხანაგობა „ცისკარი"

შეუდგა ქართულ ენაზე **გეოგრაფიის სახელმძღვანელოს** ბეჭდვას, რომელიც შეადგინა ბ. ა. ჰიჰინაძემ. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებულია პირველ დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა პირველ დაწყებით სასწავლებლებისა და საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებისათვის. (3—6.—3)

ქ. ტფილისში, 24 ივნისიდან გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი

## „ახალი ქვეყანა"

გაზეთის მიზანია ემსახუროს პროფესიონალურ მოძრაობას. გაზეთი ... რაიმით, ცალკე ნომერი ღირება ერთ შაურად.

ხელის მოწერა მეორე ნომრიდან. დროებითი ადრესი: სიმონოვის ქუჩა № 4, სტამბა „ნადეჟდა"

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალების საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузiи и древней Арменiй», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—5)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

## კ ა ნ ტ ო რ ა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

**ნამდვილი კახური ღვინო**

**ფირმის**

Товарищество кахетинскихъ виноградарей

„Дзмоба" „ძმობა"

ამხანაგობა

въ Тифлисъ.

Телефонъ № 1036.

Головинскiй проспектъ д. ...

**საუკეთესო შენახვით**

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—73)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.

**აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:**

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს", საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან"**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან"**. (50—751—47

კურსები კავკასიაში.

**ერთად-ერთი**

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**

ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები

## გ. ა. კირაკოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ. კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები. (10—124—7)

**ერთის სისტემის პროგრამით**

**რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ**


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.